

საშინაო დავალების სირთულეები და მისი გადაჭრის გზები  
ინგლისურ ენაში

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

ქ.ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის

ინგლისური ენის მასწავლებელი

**ნატო საბაშვილი**

**2018-2019 სასწავლო წელი**

## სარჩევი

1. შესავალი	2
1.1 საკვლევე საკითხის/პრობლემის აქტუალობა	2
1.2 კვლევის მიზანი	3
2. ლიტერატურის მიმოხილვა	3
3. კვლევის დიზაინი	8
3.1 საკვლევე შეკითხვები	8
3.2 სამიზნე ჯგუფი	9
3.3 კვლევის მეთოდოლოგია	9
3.4 კვლევის შედეგები - მონაცემების ანალიზი	12
3.5 მონაცემთა ანალიზის მიგნებები	24
4. ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები.	25
4.1 ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება	25
4.2 ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება	27
4.3 ნაკლოვანებები და რეკომენდაციები	30
5. დასკვნები	30
6. გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია	32
7. დანართები	33

## 1.შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე, VIII<sup>ბ</sup> კლასში ჩატარებული კვლევის ანგარიშს, ჩემ მიერ განხილულია საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები და მისი გადაჭრის გზები,დაგეგმილი ინტერვენციები და მისი შედეგები

I თავში განხილულია საკვლევი საკითხი/ პრობლემის აქტუალობა,ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი,მე-2 თავი ძირითადად ლიტერატურის მიმოხილვას წარმოადგენს,მე-3 თავი ასახავს კვლევის დიზაინს, კერძოდ,წარმოჩენილია საკვლევი შეკითხვა და ქვეკითხვები, სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები, მონაცემთა მიგნებები. მე-4 თავში ასახულია ინტერვენციის და შეფასების ეტაპები, ინტერვენციის შედეგების შეფასება, კვლევის ნაკლოვანებები და რეკომენდაციები, მე-5 თავი აღნიშნული კვლევის დასკვნაა,კვლევაში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა და შესაბამისი დანართები, რეფლექსია.

### 1.1 საკვლევი საკითხის/პრობლემის აქტუალობა

საშინაო დავალების მართებულად შერჩევა სწავლა/სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი ძირითადად მოსწავლეთა საჭიროებებზე უნდა იყოს დაფუძნებული და მიცემული მასალის კარგად გააზრებასაც უნდა გულისხმობდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ საშინაო დავალების მიზანი და მნიშვნელობა.

2018-2019 სასწავლო წლიდან ყურადღებით ვაკვირდებოდი VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეთა სასწავლო პროცესს, როგორც საგნის მასწავლებელი და როგორც დამრიგებელი.საშინაო დავალების გამოკითხვის პროცესში შეინიშნება ნაკლები მზაობა,გამოკვეთა,რომ მოსწავლეები დიდი ხალისით არ ასრულებდნენ საშინაო დავალებას, ასრულებდნენ ზერელედ, უხარისხოდ, შიძლება ითქვას, მოვალეობის მოხდის მიზნით, ან კიდევ, მოჰქონდათ სხვისგან გადაწერილი საშინაო დავალება, ამიტომაც გადავწყვიტე უფრო საფუძვლიანად შემესწავლა აღნიშნული პრობლემა და გამომეკვლია, რა განაპირობებს მე-8 კლასში, ინგლისურ ენაში საშინაო დავალების შესრულების სირთულეებს და მომეძებნა მისი გადაჭრის გზები,ეს საკითხი მოვიაზრე კვლევის თემად, რადგან მიმაჩნია, რომ საშინაო დავალების შესრულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა აკადემიური ხარისხის ასამაღლებლად.პრობლემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის, რომ ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, სკოლის მოსწავლეები პირველი კლასიდანვე იწყებენ ინგლისური ენის სწავლას, საშინაო დავალებისადმი მსგავსი დამოკიდებულება კი შეაფერხებს უცხოური ენის სწავლების ეფექტურობის გაზრდას.

## 1.2 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საშინაო დავალების სირთულის დასაძლევად საშინაო დავალების მიწოდების ისეთი გზებისა და ხერხების მოძებნა, რომლის საშუალებითაც მოსწავლე დაძლევს ამ სირთულეებს, შეცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას საშინაო დავალების შესრულების მიმართ და საშუალებას მისცემს მას ეფექტურად გამოიყენოს ენა არა მარტო კომუნიკაციისათვის, არამედ ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და წერიტი უნარების განვითარებისათვის.

## 2.ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევაზე მუშაობისას დამხმარე მასალად და გზამკვლევად გამოვიყენე სხვადასხვა სახის ლიტერატურა.პრაქტიკული კვლევის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგის-„პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება“ მასალებს(2016 წ)სატრენინგო მასალები დამეხმარა კვლევის დაგეგმვაში,კერძოდ,საკვლევი მასალის პრობლემის გააზრებაში,ინტერვენციების შერჩევასა და ინტერვენციების შეფასებაში, სიღრმისეულად გავაანალიზე კვლევის შეფასების კრიტერიუმები.

პედაგოგიური კვლევის მეთოდების გაცნობით გავაანალიზე რა მეთოდების გამოყენებაა მიზანშეწონილი ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად,მნიშვნელოვანი იყო ასევე დაკვირვების სამი ეტაპის გაცნობა,აღწერიტი,ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება კვლევის ფარგლებში განხორციელებული თანმიმდევრული ფაზებია, ლიტერატურის მიმოხილვისას ბევრ კითხვაზე გამცა პასუხი ფოკუს-ჯგუფის მეთოდის უპირატესობის გააზრებამ, რადგან ფოკუს-ჯგუფის შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაცია ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს და სასარგებლო მასალას იძლევა მასობრივი გამოკითხვის კითხვარის შესადგენად.

ჟურნალ „მასწავლებელში“ გავეცანი თეო ნეფარიძის სტატიას საშინაო დავალების შესახებ. საშინაო დავალება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების სავალდებულო ნაწილია, მისი შესრულება მოსწავლეთა ყოველდღიური პასუხისმგებლობაა, თუმცა, არის ქვეყნები, სადაც საშინაო დავალება იკრძალება ან იზღუდება, არის, კი ასეთი გადაწყვეტილება მართებული? საინტერესოა, რა მტკიცებულებებს გვთავაზობს არსებული კვლევები. საშინაო დავალებამ მოსწავლის მოტივაცია, დაინტერესება, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ცოდნის გამყარება, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა უნდა გამოიწვიოს, აი, ის ასპექტები, რომლებზეც საშინაო დავალებამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს, რაც

გამოხატება გადაწერასა და პლაგიატიზმში, ხოლო მასწავლებლისათვის საშინაო დავალება შესწავლილი მასალის გამყარების, სასწავლო გეგმის დაფარვის, ჯგუფის პროგრესის შეფასების ეფექტური საშუალება იყოს, თუმცა, ასევე დამატებით თავსატეხად, ანუ, მოსწავლეების უკმაყოფილების მიზეზად იქცეს, ან წარმოშვას მასწავლებელსა და მშობელს შორის კონფლიქტი, საშინაო დავალება ხომ მშობელს აწვდის ინფორმაციას შვილის აკადემიური მაჩვენებლის, მის წინაშე მდგომი სირთულეებისა და წარმატების შესახებ. განათლების ექსპერტები თვლიან, რომ საშინაო დავალება ამჟამინდელ მოსწავლეთა შორის უთანასწორობას, რადგან დაბალი სოციალური ფენის ბავშვებს მშობლები ვერ ეხმარებიან დავალების შესრულებაში, არ აქვთ შესაბამისი სასწავლო გარემო, ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც დღეს ხშირად ასრულებენ საშინაო დავალებას, საშინაო დავალება ხომ სწორედ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას გვთავაზობს.

საინტერესოა თუ ნუფარიძის სტატიაში მოხმობილი ფაქტები, თუ რა თავისებურებებს ვხდებით საშინაო დავალების მხრივ სხვადასხვა ქვეყანაში.

ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებადი კი არ უნდა იყოს, არამედ შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ, საფრანგეთში დამკვიდრებული იყო 4-დღიანი სასწავლო კვირა, ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის მიხედვით, იგეგმება 5-დღიანი სწავლაზე გადასვლა და საშინაო დავალების გაუქმება, ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება მოსწავლეების უთანასწორო მდგომარეობას ასახელებს იმ ბავშვებისათვის, რომელთაც სახლში სამუშაო პირობები ან მშობლის დახმარება არ აქვთ, საშინაო დავალების არა ცოდნის გაღრმავების არამედ აკადემიური რეგრესის წყარო ხდება, საფრანგეთში მოსწავლეები, ახალი დადგენილებით, დავალებებს აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დამხმარე გაკვეთილებზე შეასრულებენ. სხვა ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემთვის მისაღებია უელსის მაგალითი, როცა დავალება რეგულირებადი არ არის პოლიტიკით და შემუშავებულია თვით სკოლის მიერ, ამ შემთხვევაში, ალბათ, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და ინდივიდუალურ თავისებურებებს, მაგრამ არ მიმაჩნია მართებულად დავალების დამხმარე გაკვეთილებზე შესრულება, (საფრანგეთის მაგალითი), მოსწავლეს ამგვარი მუშაობით პასუხისმგებლობის გრძნობა შეუძმირდება და დამოუკიდებელიც აღარ იქნება ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ, რადგან მოსწავლეები საშინაო დავალებებისგან ვერ იღებენ სარგებელს, გერმანიის რიგ სკოლებში ბავშვები საშინაო დავალებას ყოველდღიურად ასრულებენ, რიგ სკოლებში საშინაო დავალება აიკრძალა, იაპონელი მოსწავლეები არდადეგების პერიოდის ჩათვლით ასრულებენ დავალებებს, რაც, ვფიქრობ, მოსწავლეს ემოციურ და სტრესულ დამაბულობას გაზრდის და გონებრივ გადაღლასაც გამოიწვევს.

საშინაო დავალების ეფექტურობის განსაზღვრაში დიდი როლი აკისრია მასწავლებლის მომზადებას, საშინაო დავალების შედგენის, გამოკითხვისა და შეფასების მეთოდოლოგიის ცოდნას. განასხვავებენ აკადემიური და არა აკადემიური ტიპის საშინაო დავალებებს, მოსწავლეთა ცოდნის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია აკადემიური ტიპის დავალებები: განმამტკიცებელი, მოსამზადებელი, სააზროვნო, ინტეგრირებული და შემოქმედებითი ტიპის დავალებები.

განმამტკიცებელი საშინაო დავალება ყველაზე ფართოდ გამოიყენება და კლასში შესწავლილი მასალის განმტკიცებას ემსახურება, ეფექტურია ისეთი განმამტკიცებელი საშინაო დავალება, რომელიც ახალი მასალისა და მოსწავლის პირადი გამოცდილების დაკავშირებას უზრუნველყოფს.

მოსამზადებელი საშინაო დავალება გულისხმობს საკითხავი მასალის გაცნობას, ინტერნეტკვლევას, პრეტესტის დაწერას, ახალ თემაზე შეკითხვების განხილვას, მოსამზადებელი სამუშაოს მთავარი მიზანია, მოსწავლე შეემზადოს ახალი ცნებებისა და მასალის გასაცნობად, მოხდეს მისი მოტივირება.

სააზროვნო ტიპის დავალებები მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და მის ახალკონტექსტში ახლებურად გამოყენებას მოიაზრებს, ამ ტიპის დავალებები ცოტა რთულია და მათი შესრულება მეტ დროს მოითხოვს.

ინტეგრირებული დავალების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მის შესასრულებლად მოსწავლემ სხვადასხვა უნარ-ჩვევა და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნა უნდა გამოიყენოს.

შემოქმედებითი ტიპის დავალების განეკუთვნება წიგნის ანალიზი, სემესტრული თემა, კვლევითი პროექტი, ასეთი დავალებები გრძელვადიანია შემოქმედებითი დავალებების მიზანია, მასწავლებელმა მოსწავლისაგან მიიღოს ინდივიდუალური და ორიგინალური პროდუქტი.

აკადემიური სახის საშინაო დავალებებს შორის ყველაზე გავრცელებულია განმამტკიცებელი და მოსამზადებელი დავალებები, ამ ტიპის დავალებები წინასწარ გაწერილია სახელმძღვანელოში და მასწავლებელს მათ შედგენაზე დრო არ ეხარჯება, ინტეგრირებული და სააზროვნო დავალებები კი, მასწავლებლის მოსაფიქრებელი და შესადგენია, მათი შედგენისა კი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მოსწავლეთა ინტერესები, მათი ცოდნის დონე, სოციალური ფონი და სხვა.

დავალების შეფასება ხორციელდება ნიშნებით, სიტყვიერად, წერილობითი კომენტარით, წამახალისებელი ფორმით, მართებულად მიმაჩნია სტატიის ავტორის, თეო ნეფარიძის აზრი საშინაო დავალების განსაზღვრაში მასწავლებლის როლის შესახებ და ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია აკადემიური ტიპის, მრავალფეროვანი საშინაო დავალებების მიცემა რომელთა მიმოხილვასაც ავტორი გვთავაზობს.

საკითხის განხილვისათვის ძირითად ლიტერატურად გამოვიყენე რობერტ ჯ.მარზანოს, დებრა ჯ. ფიქერინგის, ჯეინ ი.ფოლოქსის ნაშრომი-„ეფექტური სწავლება სკოლაში“, მოსწავლეთა შეფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისინი რამდენიმე კვლევას მოიხმობენ საბოლოო დასკვნის გამოსატანად, სწავლების მეთოდების საფუძვლიანი კვლევა მე-20 საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მანამდე იყო

ცნობილი სწავლების ეფექტური გზები და საშუალებები. მასწავლებლები სოკრატეს მეთოდს ორ-ნახევარი ათასი წლის განმავლობაში იყენებდნენ, მკლევარები, კი, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაინტერესდნენ სწავლების მეთოდსა და სწავლების შედეგს შორის კავშირით.

როგორც ავტორები გვიჩვენებენ, არ შეიძლება ერთი კვლევის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა კონკრეტული მეთოდისა თუ მიდგომის ეფექტურობის შესახებ, აქვე მოჰყავთ საშინაო დავალების შესახებ არგუმენტები, ზოგადი დებულებები: კერძოდ, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს განსხვავებული მოცულობის დავალებები უნდა მიეცეს, დავალების შესრულების პროცესში მშობელი იშვიათად უნდა ჩაერიოს, რომ მოსწავლე ამ აქტივობისას იყოს დამოუკიდებელი, თავდაჯერებული. მასწავლებელმა ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს დავალების მიზანი, აუხსნას შესრულების წესები, გააცნოს დავალების შეფასების რუბრიკა, მოუმზადოს სხვადასხვა ტიპის კომენტარები, გასცეს ეფექტური უკუკავშირი, შესრულებული დავალების გასწორებისათვის იყოს მუდმივად მზად. რობერტ ჯ. მარზანოს, დებრა ჯ. ფიქერინგის, ჯენ ი. ფოლოქსის ნაშრომის - „ეფექტური სწავლება სკოლაში“, წაკითხვის შემდეგ საკუთარ თავს დავუსვი კითხვა -- რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა საშინაო დავალების ეფექტურობისათვის? გაითვალისწინოს მოცულობა, რაოდენობა, წინასწარ დაგეგმოს ისე, რომ გააღვივოს მოსწავლეთა პოტენციალი, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს, უფრო მეტიც, როგორ ამუშაოს სიამოვნებით მოსწავლე? ჩვენს ქართულ სინამდვილეში ხომ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. მასწავლებლები უამრავ საკითხს ვაძლევთ დასამუშავებლად მოსწავლეებს, არ ვითვალისწინებთ სირთულესა და ოდენობას, მოსწავლე ვერ ასწრებს დავალების შესრულებას, მეორე დღეს იძულებული ხდება გადაწეროს, მერე გულიც უცრუვდება სწავლაზე და ვფიქრობ, ამიტომაც ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგს. არ არის აუცილებელი ყოველდღე საშინაო დავალების მიცემა, სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებულები ვართ, რომ შემდეგ გაკვეთილზე დავალების შემოწმებას მოვახერხებთ, როჯერსის თეორიის მიხედვით, მასწავლებლის მოლოდინი გავლენას ახდენს მოსწავლის მუშაობის ხარისხზე, როცა იცის მოსწავლემ, რომ მასწავლებელი სრულყოფილად, გულდაგულ, კომენტარების დართვით გაასწორებს დავალებას, მოსწავლეები იქცევიან მასწავლებელთა მოლოდინის შესაბამისად. მოსწავლე არ უნდა განვსაჯოთ შესრულებული სამუშაოს გამო, ვეცადოთ მის გამხნევებას, მივცეთ სტიმული, საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოს თავიანთი უნარი საშინაო დავალების შესრულებისას. საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეს ჩვევაში უნდა გადაეზარდოს, თუმცა ეს დიდ ჩვევასა და ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ აუცილებელია შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შექმნა „როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, დამოკიდებულება, მოთხოვნილებები, თვითრეალიზაციის უნარი, ჯილდო, შექება, რომელიც კონკრეტული დავალებისათვის დაიმსახურა, აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, სწორად შერჩეული დავალება ხელს

შეუწყობს მრავალმხრივი უნარების განვითარებას, მოსწავლეები იძულებით კი არა, ხალისით შეასრულებენ საშინაო დავალებას. მასწავლებელს დიდი ზეგავლენა აქვს მოსწავლეთა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, თუ მასწავლებელი შთააგონებს, რომ ის არის შრომისმოყვარე, ინტერესიანი, მოტივირებული, ის შეიძლება მართლაც ასეთი გახდეს. ამიტომ ისეთი დავალებები შევურჩიოთ, რომელსაც ისინი დაძლევენ, დავალების შემოწმება კი ეხმარება მოსწავლეს სწავლაში, აცნობიერებენ, რას მიაღწიეს, რა იციან, რა უნდა გააუმჯობესონ, სწავლა კეთების და უკუკავშირის პროცესში მიმდინარეობს.

მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ისეთი მიდგომა, რომ დაარწმუნოს მოსწავლეები საშინაო დავალების აუცილებლობაში, გაუღვივოს ინტერესი, შეუქმნას ისეთი სიტუაცია, რომ მოსწავლე თავად გაუჩნდეს სურვილი დავალების შესრულებისა, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ დავალება იქნება სახალისო, საინტერესო, გასაგებად ჩამოყალიბებული მასწავლებლის მიერ, ამგვარად შესრულებული დავალება მოსწავლეებს იოლად დაამახსოვრდებათ, რადგან მოსწავლემ მოიძია, „იწვალა“, შეაჯერა, ეს ყველაფერი კი მასწავლებლის მართებულ მიდგომასა და მრავალმხრივ უნარებზე მეტყველებს, მასწავლებლის მიზანიც ხომ მოსწავლის დამოუკიდებელ, პასუხისმგებლიან, შრომისმოყვარე პიროვნებად ჩამოყალიბებაა. უნდა აღვნიშნო, რომ საშინაო დავალებასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელ ლიტერატურას გავეცანი, განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მასწავლებლის უნარზე, შემოქმედებითობაზე და პროფესიულ ოსტატობაზეა დამოკიდებული საშინაო დავალების მართებულად, მიზნობრივად შერჩევა, რომ ეს პროცესი გახდეს ნაყოფიერი და მოსწავლეზე ორიენტირებული.



### 3. კვლევის დიზაინი

#### 3.1. საკვლევი შეკითხვები

კვლევის კითხვის დასაზუსტებლად გამოვყოფდი რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

1. რასთან არის დაკავშირებული საშინაო დავალების სირთულეები და როგორ ვეძიოთ მისი გადაჭრის გზები?

2. რა იწვევს საშინაო დავალების მიმართ მოსწავლეთა დაბალ ინტერესს?

**ქვეკითხვები**, რომლებიც დამეხმარება აღნიშნული პრობლემის მიზეზის დადგენაში.

- რამდენად საინტერესო და სახალისოა ინგლისურის გაკვეთილი მოსწავლეებისათვის?
- ასრულებენ თუ არა მოსწავლეები ხალისით საშინაო დავალებას?
- საშინაო დავალების შესრულებისას ითვალისწინებს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს, ინდივიდუალურ თავისებურებებს?
- რა გავლენას ახდენს შესრულებული დავალების მონიტორინგი სწავლის ხარისხზე, მოსწავლის პასუხისმგებლობაზე?
- რა მიდგომებს სთავაზობენ კოლეგები ერთმანეთს საშინაო დავალების სირთულეების თავიდან ასაცილებლად?
- როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ
- არიან თუ არა მშობლები ჩართულნი სასწავლო პროცესში, კერძოდ, საშინაო დავალების შესრულების პროცესში?

წლებია ვაკვირდები მოსწავლეთა დამოკიდებულებას საშინაო დავალების მიმართ, ვეძიებ დავადგინო, რა იწვევს ამგვარ დამოკიდებულებას, ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, სირთულეა, ამას დაემატა გულგრილობა, შესუსტდა დავალების შესრულების ხარისხი, შედეგების გასაუმჯობესებლად, ქვეკითხვებიდან გამომდინარე, დავგეგმე შესაბამისი ნაბიჯები. ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხები სწორად დამაგეგმვინებდა ინტერვენციებს, ხოლო ინტერვენციების განხორციელების პროცესში დავალების სირთულეების აღმოსაფხვრელად შევიმუშავებდი აქტივობებს, დავაკვირდებოდი საშინაო დავალებისათვის გამიზნული რომელი სავარჯიშო იქნებოდა მართებული შედეგების გასაუმჯობესებლად.

### 3.2 სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფად შევარჩიე:

- 1.ქ .ბათუმის N6 საჯარო სკოლის VIII<sup>ბ</sup> კლასის 22 მოსწავლე
- 2..ქ .ბათუმის N6 საჯარო სკოლის VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეთა მშობლები
- 3..ქ .ბათუმის N6 საჯარო სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები

### 3.3 კვლევის მეთოდოლოგია

პრაქტიკული კვლევის სრულყოფისა და სანდოობისათვის კვლევისათვის შევარჩიე შემდეგი მეთოდები:

კვლევის თვისობრივი მეთოდი(დაკვირვება-ჩართული დაკვირვება,ფოკუსირებული დაკვირვება) კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (გამოკითხვა, ანკეტირება, ღია, დახურული და ანონიმური კითხვები) კვლევაში მონაწილეობდა 32 მოსწავლე, 12 მასწავლებელი და 10 მშობელი განვიხილე რა კვლევის თვისობრივი მეთოდები, განვსაზღვრე, კვლევის რა მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი პრობლემის გადასაჭრელად.დაკვირვება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდია პედაგოგიური პრაქტიკის შესასწავლად, რადგან გულისხმობს საკვლევი პროცესის ან მოვლენის ორგანიზებულ აღქმას. კვლევისათვის შევარჩიე ჩართული და ფოკუსირებული დაკვირვება. ასევე მივმართე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. **აღწერითი და ჩართული დაკვირვების** დროს გავერკვეთ არსებულ სიტუაციაში, რაც დამეხმარა იმის დადგენაში, თუ რაზე უნდა გავაკეთო ფოკუსირება. **ფოკუსირებული დაკვირვება** ძირითადად გამოვიყენე მასწავლებლებთან, შევიმუშავე კითხვარები, რომლებიც დავუსვი შეხვედრისას მასწავლებლებს, მაინტერესებდა, რამდენად კარგად ერგებოდა მათ მიერ მიცემული დავალება მოსწავლეთა საჭიროებებს, იციან თუ არა, რა ტიპის დავალებები მოსწონთ მის მოსწავლეებს,რა კავშირშია მიცემული დავალების სახე, მოცულობა, შინაარსი მოსწავლეების დამოკიდებულებასთან საშინაო დავალების მიმართ, ასევე დავაკვირდი, რა სიხშირით ამოწმებს მასწავლებელი დავალებას და გასცემს თუ არა უკუკავშირს, რა იწვევს გულგრილ დამოკიდებულებას დავალების მიმართ, რატომ აქცევენ მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას საშინაო დავალებას, როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს?

**რაოდენობრივი კვლევებიდან** გამოვიყენე კვლევის ყველაზე გავრცელებული მეთოდი - წერილობითი გამოკითხვა, ანუ ანკეტირება. კვლევისას გამოვიყენე როგორც დახურული, ისე ღია კითხვები, ანკეტირება ანონიმური იყო. რესპოდენტები არ გრძნობდნენ თავს შეზღუდულად და პასუხობდნენ გულწრფელად. აღნიშნულ მეთოდს მივმართე იმისათვის, რომ მიმეღო პასუხი 10-კითხვებზე, რა დამოკიდებულება აქვს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს საშინაო დავალების მიმართ, რა ღირებულება აქვს საშინაო დავალებას. რაში ეხმარებათ და რა სირთულეებს წარმოქმნის ამ სამუშაოს ყოველდღიურად შესრულება?

მოვამზადე კითხვარები მოსწავლეებისათვის, მივეცი განსაზღვრული დრო, რომ საფუძვლიანად გაეაზრებინათ თითოეული კითხვა, ავუხსენი, რომ გამოკითხვა ანონიმური იყო და არ შეზღუდულიყვნენ პასუხის გაცემისას, შევსებულმა კითხვარებმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე საშინაო დავალების მიმართ.

მასწავლებლებთან ანკეტირებისას შევისწავლე მასწავლებელთა დამოკიდებულება, მათი განწყობა შესრულებული საშინაო დავალების შემოწმების მიზნით, ასევე, გავარკვიე, მიაჩნიათ თუ არა სწორად შერჩეული, ნათლად განმარტებული საშინაო დავალების პირობა საშინაო დავალების შესრულების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად.

მშობელთა გამოკითხვაც ანონიმური იყო, შევსებული კითხვარი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა მშობელთა დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების დასადგენად, რაც მნიშვნელოვანი დარჩა კვლევის წარმოებისათვის.

კვლევის მეთოდებმა საშუალება მომცა:

- დამედგინა მონაწილეთა დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ
- გამომეკვითა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეიძლება არც კი გამოაშკარავებულიყო
- სხვა თვალთ შემეხედა ამა თუ იმ საკითხისათვის
- რესპოდენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით გამომეტანა ზოგადი დასკვნები
- აღმომეჩინა კვლევისათვის საჭირო თემები

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ VIII<sup>ბ</sup> კლასში საშინაო დავალების შესრულების პრობლემა მართლაც არსებობს, ასევე დავადგინე, რომ სხვა საგნის მასწავლებლებსაც იგივე პრობლემა აქვთ არა მარტო მე-8 კლასში, არამედ სხვა კლასებშიც, ამ პრობლემის აღმოფხვრა კი მასწავლებლებს რთულად მიაჩნიათ.

კვლევის გეგმა

კვლევის ვადები

აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X							
კვლევის გეგმის შემუშავება	X							
ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრა		X						
მზადება ანკეტირებისათვის		X						
ანკეტირება			X					
მონაცემთა ანალიზი			X					
ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება				X	X			
ინტერვენციების შედეგების ანალიზი						X	X	
კვლევის წარდგენა და კოლეგების უკუკავშირი								X


### 3.4 კვლევის შედეგები

#### მონაცემთა ანალიზი

#### მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვა

N1

ასრულებთ თუ არა ხშირად საშინაო დავალებას?




გამოკითხული 22 მოსწავლიდან საშინაო დავალებას ხშირად ასრულებს 7 მოსწავლე, ყოველთვის -3, იშვიათად-12 მოსწავლე.

მოსწავლეთა ანკეტირებული გამოკითხვა

N2

საშინაო დავალების შესრულების მიზანი




გამოკითხული 22 მოსწავლიდან საშინაო დავალებას ნიშნის გამო ასრულებს 59%,ცოდნის განმტკიცების გამო 27%,რცხვენია-14%-ს

მოსწავლეთა ანკეტირებული გამოკითხვა

N3

საშინაო დავალების შეუსრულებლობის მიზეზი




გამოკითხული 22 მოსწავლიდან საშინაო დავალების შეუსრულებლობის მიზეზია: 45%-თვის დავალების დიდი მოცულობა, გაუგებრობას ასახელებს-23%, ხოლო სიზარმაცეს-32%

მოსწავლეთა ანკეტირებული გამოკითხვა

N4

ასრულებთ თუ არა დამოუკიდებლად საშინაო დავალებას?




გამოკითხული 22 მოსწავლიდან საშინაო დავალებას ასრულებს დამოუკიდებლად 12 მოსწავლე, იშვიათად - 5, ყოველთვის 5 მოსწავლე



მასწავლებელთა ანკეტირებული გამოკითხვა

N1

რას ითვალისწინებთ საშინაო დავალების შესრულებისას?




მასწავლებელთა გამოკითხვის მიხედვით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აძლევს საშინაო დავალებას 25%, მოსწავლეთა საჭიროებებს ითვალისწინებს- 58%, ხოლო ინტერესებს-17%.

მასწავლებელთა ანკეტირებული გამოკითხვა

N 2

რა სიხშირით ახერხებთ საშინაო დავალების მონიტორინგს?




გამოკითხული მასწავლებლების 42% იშვიათად ამოწმებს საშინაო დავალებას, ხშირად-33%, ხოლო ყოველთვის-25%

## მასწავლებელთა ანკეტირებული გამოკითხვა

N 3

რატომ არ ასრულებენ მოსწავლეები საშინაო დავალებას?




გამოკითხული 12 მასწავლებლიდან 6 თვლის, რომ მოსწავლეთათვის რთულია, 4 მასწავლებელი მიზეზად მიიჩნევს სიზარმაცეს, ხოლო - 2 ინტერესის ნაკლებობას

მასწავლებელთა ანკეტირებული გამოკითხვა

N 4

აძლევთ თუ არა მოსწავლეებს ინსტრუქტაჟს?




გამოკითხული 12 მასწავლებლიდან ხშირად არ აძლევს საშინაო დავალების ინსტრუქტაჟს 50%, ხოლო--25% აძლევს ინსტრუქტაჟს ყოველთვის, ზოგჯერ კი- ასევე 25%

## მშობელთა ანკეტური გამოკითხვა

N1

რატომ არ ასრულებენ თქვენი შვილები საშინაო დავალებას?




მშობელთა 53% თვლის, რომ შვილებისათვის გაუგებარია დავალება. 29% მიიჩნევს, რომ არ აინტერესებთ, 18%-ის აზრით, განაპირობებს სიზარმაცე

## მშობელთა ანკეტური გამოკითხვა

N2

ეხმარებით თუ არა შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში?




გამოკითხული მშობლების 65% პროცენტი ეხმარება იშვიათად, არ ეხმარება 23%,  
ყოველთვის უწევს დახმარებას-12%

## მშობელთა ანკეტური გამოკითხვა

N3

როგორი უნდა იყოს საშინაო დავალება?



გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება უნდა იყოს საინტერესო, 35% - ის აზრით, მცირე მოცულობის, ხოლო 30%-ის აზრით, ადვილად გასაგები

კვლევა ვაწარმოე სხვადასხვა მიმართულებით, მსურდა გამეგო საშინაო დავალების შესრულების სირთულეებთან დაკავშირებული ყველა მხარის (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) მოსაზრება, განვიხილავ მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის გამოყენებით მიღებულ ინფორმაციას. მოსწავლეთა ანკეტირებისას დავადგინე, როგორია მათი დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ. რა ღირებულება გააჩნია მათთვის საშინაო დავალებას, შუბლიათ თუ არა

დავალების დამოუკიდებლად შესრულება და რას მიიჩნევენ დავალების შეუსრულებლობის მიზეზად. გამოკითხულ მოსწავლეთა აზრით, (ღია შეკითხვებიდან გამომდინარე) დავალებები რთულია და დიდი მოცულობის, ხშირად გაუგებარია დავალების შინაარსი, რადგან დროის სიმცირის გამო მასწავლებელი ვერ ასწრებს ინსტრუქციის გასაგებად ჩამოყალიბებას, ასევე მიიჩნევენ, რომ მასწავლებელმა საკლასო მუშაობის მსგავსი დავალებები უნდა მისცენ მოსწავლეებს, რომ უკეთ გაართვან თავი დავალების შესრულებას.

მასწავლებელთა გამოკითხვის მიზანი იყო, გამეგო, რას ითვალისწინებდნენ საშინაო დავალების მიცემისას, აწარმოებენ თუ არა მონიტორინგს დავალების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით, აძლევენ თუ არა მოსწავლეებს მკაფიო და გასაგებ ინსტრუქტაჟს.

მასწავლებელთა გამოკითხვამ (ღია შეკითხვები) ნათელყო, რომ პრობლემა გადაიჭრება სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში მიცემული დავალებით, რომელიც უნდა იყოს საინტერესო, სახალისო, მრავალფეროვანი, ხშირად უნდა ხდებოდეს მონიტორინგი დავალების შესრულების ხარისხის დადგენის მიზნით და მასწავლებლის ინსტრუქტაჟი უნდა იყოს ლოგიკურად ჩამოყალიბებული და გასაგები.

მშობელთა გამოკითხვის შედეგად გავარკვეე, რამდენად არიან მშობლები ჩართულნი შვილის სასწავლო პროცესში, იციან თუ არა, რატომ არ ასრულებენ ისინი საშინაო დავალებას, უწევენ თუ არა შვილებს დახმარებას საშინაო დავალების შესრულებისას, როგორია მათთვის სასურველი საშინაო დავალების ტიპი. ღია შეკითხვებზე მშობლების პასუხებიდან გამომდინარე, პრობლემა გადაიჭრება იმით, თუ დავალება იქნება მცირე მოცულობის, ადვილად გასაგები, ზოგიერთი თვლის, რომ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოეხმაროს შვილს

დავალების შესრულებაში, რათა იგი მიეჩვიოს დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობის გრძნობას კი გაზრდის მასწავლებელთა მხრიდან დავალების ხარისხის შემოწმება

მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფის შედეგად დავადგინე, რა ტიპის საშინაო დავალებები მოსწონთ მოსწავლეებს, რა კავშირშია მიცემული დავალების ტიპი მოცულობა, შინაარსი მოსწავლეების დამოუკიდებულებასთან საშინაო დავალების მიმართ, გასცემს თუ არა მასწავლებელი ეფექტურ უკუკავშირს, რა კრიტერიუმებით აფასებს მასწავლებელი საშინაო დავალებას, იძლევა თუ არა მკაფიო ინსტრუქტაჟს გამოიკვეთა რიგი ფაქტორები:

საშინაო დავალების შეუსრულებლობის მიზეზად მოსწავლეებს და მშობლებს მიაჩნიათ გაუგებრობა. მშობელი 53%, მოსწავლე-23%,<sup>12</sup> გამოკითხული მასწავლებლიდან სიზარმაცე მიაჩნია 4 მასწავლებელს, მოსწავლეთა 32% თვლის განმაპირობებელ ფაქტორად სიზარმაცეს, ხოლო მშობელთა 18% ასევე სიზარმაცეს.



დავალების შეუსრულებლობის მიზეზად დიდ მოცულობას თვლის 45%,გამოკითხული 12 მასწავლებლიდან ნაკლებ ინტერესს-2 მასწავლებელი,ასევე ნაკლები ინტერესის მიზეზს აღნიშნავს მშობელთა 45%.

მშობელთა 18% პროცენტი ეხმარება შვილებს დავალების შესრულებაში, ხოლო გამოკითხული 22 მოსწავლიდან დავალებას დამოუკიდებლად ასრულებს 12 მოსწავლე.

კვლევის ზემოთდასახელებული მეთოდების,ღია და დახურული ტიპის კითხვებით მივიღე ის ინფორმაცია,რომელმაც მიმიყვანა კვლევის ძირითად მიგნებებამდე.

### 3.5 მონაცემთა ანალიზის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემის წარმომშობი მიზეზები:

- ✓ დავალების მოცულობა დიდია
- ✓ დავალების შეუსრულებლობის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში სიზარმაცაა
- ✓ ნაკლებად თანამშრომლობენ კოლეგები ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების მიზნით
- ✓ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ნაკლებად უთმობენ დროს დავალების პირობის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბებას
- ✓ მასწავლებლები არ გასცემენ ეფექტურ უკუკავშირს
- ✓ არ არის განსაზღვრული საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები
- ✓ ნაკლებად,ან იშვიათად ხდება საშინაო დავალების მონიტორინგი
- ✓ საშინაო დავალების სახეები არ არის მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს მორგებული
- ✓ მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები
- ✓ მშობლები არ არიან მაქსიმალურად ჩართული შვილების სასწავლო პროცესში

#### 4. ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები

##### 4.1 ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა- განხორციელება

კვლევის მიზნების საფუძველზე ჩავუღრმავდი გამოვლენილ პრობლემებს, პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და დავგეგმე ინტერვენციები: ინტერვენციების დაგეგმვისას გავითვალისწინე შემდეგი ფაქტორები, რომ მასწავლებლები არ იცნობენ შესაბამის ლიტერატურას, სადაც საუბარი იქნება საშინაო დავალების შესახებ, ლიტერატურის გაცნობის შემდეგ მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება, განსაზღვრონ, როგორ და რა სახის დავალება შეურჩიონ და რა დოზით მიაწოდონ მოსწავლეებს, ამ მიზნით საჭიროა თანამშრომლობის გაღრმავება კოლეგებს შორის, ამიტომაც მასწავლებლები სიღრმისეულად გაეცნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, სხვადასხვა ლიტერატურას, გაღრმავდა პედაგოგებს შორის თანამშრომლობა, მოეწყო სამუშაო შეხვედრები, კოლეგების გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლებმა საშინაო დავალების მიცემისას დაიწყეს საჭირო რეკომენდაციების გაცემა, დავალების დროულად და სრულყოფილად შემოწმება, მსგავსმა მიდგომამ მოსწავლეებს გაუადვილა დავალების შესრულება და გაიზარდა მოტივაცია. (ამ მიდგომის განხორციელება დავიწყე მას შემდეგ, რაც სწავლის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ დავინახე პრობლემა-დავალების სირთულე, დროის განაწილება, მწირი ინსტრუქცია, არარეგულარული მონიტორინგი, ერთი სახის დავალებები) შევთანხმდით, რომ მოცულობა შეგვემცირებინა და გაგვეთვალისწინებინა შემდეგი:

- მივცეთ მოსწავლეებს მცირე მოცულობის დავალება
- გამოვკვეთოთ დავალების შესრულების არსი, შინაარსი
- წერილობით წარმოვადგინოთ დავალების პირობა
- ავუხსნათ, რა დრო დასჭირდებათ ამ დავალების შესასრულებლად
- ვაწარმოთ შესრულებული დავალების ხარისხის დასადგენად მონიტორინგი.
- მივცეთ მრავალფეროვანი სახის საშინაო დავალებები

ინტერვენციების განხორციელების პროცესში ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მუშაობას, ვაკეთებდი ჩანაწერებს, ინტერვენციის მეორე ფაზაზე უკვე სულ სხვა შედეგები გამოიკვეთა, რაც ავსახე ჩანაწერების ცხრილში.

## ჩანაწერების ცხრილი

საშინაო დავალება	1-ლი კვირა	მე--2კვირა	მე-3 კვირა	მე-4კვირა
დავალების შესრულება	25%	30%	42%	45%
დამატებითი რეკომენდაციების მიცემა	38%	31%	30%	28%
დამოუკიდებლად მუშაობა	20%	25%	30%	45%
საერთოდ არ ასრულებს დავალებას	10%	10%	10%	10%

ცხრილის მონაცემებით დავადგინე, თუ რეგულარულად ახორციელებ მონიტორინგს, იძლევი შესაბამის და მართებულ რეკომენდაციებს, მრავალფეროვან საშინაო დავალებებს, მოსწავლე ხდება მოტივირებული, სძლევს სირთულეებს და მიემართება პროგრესისაკენ

გავაცნობიერე, რომ საშინაო დავალების შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. მოსწავლის ცოდნა შემეცნების პროცესად უნდა იქცეს, ამიტომაც გადავწყვიტე რეგულარულად მიმეწოდებინა მის საჭიროებებზე მორგებული, შემეცნებითი აზროვნების განმავითარებელი და მოტივაციის ამაღლებული სავარჯიშოები, (იხ. დანართი 1,2,3,4) ასევე გავითვალისწინე, რომ შესრულებული დავალების სრულყოფისათვის აუცილებელი იყო გაეცნობიერებინათ შეფასების კრიტერიუმები (იხ, დანართი 5) დავიწყე დავალების ეფექტურობის გაზრდის მიზნით განმავითარებელი კომენტარის მიცემა, მოსწავლის მოლოდინი გაიზარდა, მოსწავლეებს შევაქმნევი პორტფოლიო, სადაც ინახავდნენ მათ მიერ შესრულებულ დავალებებს, შემდეგ ვასწორებდი ამ დავალებებს და ვაკეთებდი შესაბამის წერილობით კომენტარს. რა თქმა უნდა, თუ გაკვეთილის დასაწყისში განვიხილავდი მიცემულ დავალებას, თავად მოსწავლესაც ვთხოვდი, გამოეკვეთა, რა იყო დავალების მიზანი, შეძლო თუ არა დავალების მიზნის შესაბამისად შესრულება, თუ ვერ შეძლო, რა იყო ამის მიზეზი, ამ შემთხვევაში მოსწავლე აღმოაჩენდა შესრულებული დავალების დადებით მხარეებს, ხარვეზებს და ერთად ვსახავდით გამოსწორების გზებს. გარკვეული ინტერვენციები განვახორციელე მშობელთა ჩართულობის მხრივ, პრობლემებში არაერთხელ აღვნიშნე მშობელთა დამოკიდებულება საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, ზოგადად ისინი შეუსრულებლობის მიზეზად თვლიდნენ დავალების მოცულობას, სირთულეს, გაუგებრობას, შვილის

სიზარმაცეს, როცა თავიანთი შვილების პროგრესის შესახებ ვაწვდიდი ინფორმაციას, უფრო მეტად გააქტიურდნენ, მეტნაკლებად გაიზარდა მათი ჩართულობა, აღნიშნავდნენ, რომ რეკომენდაციებმა და კონტროლმა შეცვალა შვილების დამოკიდებულება დავალების მიმართ, შეამჩნიეს, რომ თანდათან დასძლიეს სიზარმაცე და უფრო მეტად კითხულობდნენ თავიანთი შვილების შედეგს. დაგეგმილი ინტერვენციების გახორციელება მამლევს საფუძველს იმისას, რომ შევაფასო ჩემ მიერ განხორციელებული ცვლილებები, ქმედებები.

#### 4.2. ქმედებების (ინტერვენციების შედეგების შეფასება)

დაგეგმილი ინტერვენციების შედეგად უნდა გამომევილინა, რამდენად შეუწყო ხელი დაგეგმილმა ქმედებებმა საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრას, დაგეგმილი ინტერვენციებით განვახორციელე შემდეგი:

1. ჩავატარე სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან, გავეცანიტ შესაბამის ლიტერატურას, გავიზიარეთ ერთმანეთის აზრები, გაიმართა დისკუსია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

2. კვირაში ერთხელ თითოეული მასწავლებელი წარმოადგენდა დაკვირვების შედეგებს ჩანაწერების სახით, გამოკვეთდა სირთულეს, სირთულის გამომწვევ შესაძლო მიზეზს, შემდეგ კი აზრთა შეჯერების შედეგად გამოგვქონდა დასკვნა, რა გზით შეიძლებოდა ამ სირთულის გადალახვა.

3. შევიმუშავეთ დავალების სხვადასხვა ტიპები, რომ მაქსიმალურად გაგვეზარდა მოსწავლეთა ინტერესი.

4. მივეციტ მოსწავლეებს დავალების არჩევის თავისუფლება

5. შევამცირეთ საშინაო დავალების მოცულობა

6. შევიმუშავეთ ისეთი აქტივობები, რომ მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონოდატ საშინაო დავალებისა და ამ დავალების მიზნის შესახებ

7. რეგულარულად ხდებოდა მიცემული საშინაო დავალების მონიტორინგი

8. მაქსიმალურად აწვდიდნენ მასწავლებლები მოსწავლეებს ეფექტურ უკუკავშირს. მე, როგორც კვლევის ავტორმა, ჩავატარე სამუშაო შეხვედრა საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან, გამოიკვეთა, რომ ახალი მასალის სრულყოფილად გასაგებად აუცილებელია საშინაო დავალების ხარისხიანად შესრულება, მაქსიმალურად შემცირდა საშინაო დავალების მოცულობა, დავალება ორიენტირებული გახდა მოსწავლეთა საჭიროებებზე, მოსწავლეებიც ხალისიანად და ინტერესით ასრულებდნენ საშინაო დავალებას. ამადლდა შესრულებული დავალების ხარისხი, რაც გამოიწვია მასწავლებლის მიერ მართებული რეკომენდაციებისა და რჩევების

გაცემამ, საშინაო დავალების არსის გაცნობიერებამ, რეგულარულმა მონიტორინგმა და განმავითარებელი კომენტარის მიცემამ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ვარჩევდი მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ დავალებებს, მსგავსი ტიპის დავალებებს ვაძლევდი გაკვეთილზე, რათა განმევიტარებინა მათი დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები, უნდა აღვნიშნო, რომ ამგვარმა მუშაობამ და ორგანიზების ფორმებმა (წყვილებში, ჯგუფური) მოსწავლეებს სოციალური უნარ-ჩვევებიც ჩამოუყალიბა. როგორც შესაძლო ინტერვენციებში აღვნიშნე, მასწავლებლებს დაკვირვების მიზნით გარკვეული დროის მანძილზე უნდა ეწარმოებინათ ჩანაწერები. შემდეგ კი ერთობლივად განვიხილავდით, დაკვირვება სიტუაციურ ამოცანად იქცა, ამ აქტივობით მასწავლებელმა უფრო კარგად დაინახა შესაძლო ქმედებით თავისი მხრიდან, ასევე გაანალიზა მოსწავლეთა საჭიროებები.

მოსწავლეებს მივეცი არჩევანის სრული თავისუფლება-შევთავაზე დავალების სამი სხვადასხვა ტიპი, ვთხოვე აერჩიათ ერთ-ერთი, დაესაბუთებინათ, რატომ აირჩიეს ესა თუ ის დავალება, გაირკვა, რომ მოსწავლეებს მოსწონთ როცა არ არიან შეზღუდულები დავალების არჩევაში, მეტიც, უფრო ხალისიანად და ინტერესით ასრულებენ მათ მიერ შერჩეულ სამუშაოს.

ზოგი მოსწავლე ფიქრობდა, რომ ერთადერთი, რაც მის მასწავლებელს აინტერესებს, დასრულებული საშინაო დავალების ნახვაა. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მიცემული დავალების მიმართ არასწორი ინსტრუქტაჟის გამო, ჩვენ შევიმუშავეთ გრაფა, სადაც შემდეგი ინფორმაცია უნდა შეეტანათ:

საგანი-----

ს/დ შესრულების დრო-----

რა მაქვს გასაკეთებელი დღეს-----

ს/დ შესრულების მიზანი-----

რა ვიცი უკვე,ან რა უნდა ვიცოდე, რომ ეს დავალება შევასრულო-----

თავდაპირველად ეს სამუშაო მოსწავლეებს დიდად არ მოეწონათ, მაგრამ, შემდეგ, თანდათან მიეჩვივნენ თითოეული გრაფის სწრაფად და ზედმიწევნით შევსების პროცედურას, გახდნენ ორგანიზებულები, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ეს აქტივობა ნათელ წარმოდგენას აძლევდა მათ შესასრულებელი საშინაო დავალებისა და ამ დავალების მიზნის შესახებ. მოვიხმობ ამონარიდს ერთ-ერთი მოსწავლის ჩანაწერიდან: „მუდმივად თვალი გამირბის ჩანაწერების ბლოკნოტისაკენ, არ დამავიწყდეს, რა უნდა გავაკეთო , უკვე ვაცნობიერებ მიზანსაც და დავალებასაც უფრო თავდაჯერებული ვასრულებ, თან ვრწმუნდები-რა ვიცი, ვაყალიბებ, რა უნდა გავაუმჯობესო“, მსგავსი აქტივობისას

საგრძობლად გაიზარდა მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, მოტივაცია, რამაც გარკვეულად შეცვალა დავალების ხარისხი, მოსწავლეებიც გაუმკლავდნენ საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. მასწავლებლებმა სისტემატურად დაიწყეს საშინაო დავალების შემოწმება არა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასებით, არამედ შესაბამისი კომენტარით. გარკვეული დროით შემდეგ მოსწავლეები თავად ითხოვდნენ მასწავლებლებისაგან უკუკავშირს. უკვე ნათელი გახდა საშინაო დავალების შემოწმების ეფექტურობა, მოსწავლემ დაინახა მისი ძლიერი და სუსტი მხარე, რა და როგორ გააუმჯობესოს.

უნდა აღვნიშნო, რომ კვლევის ყველაზე სუსტ მხარეს მშობელთა ჩართულობა წარმოადგენდა, უნდა აღვნიშნო პროგრესი ამ მხრივ, მშობლებთან ხშირმა კომუნიკაციამ გამოიწვია მშობელთა ნაწილის გააქტიურება, მათთვის თვალსაჩინო გახდა შვილების მოტივაციის ამაღლება და ჩემი კომენტარებიდან გამომდინარე, საშინაო დავალების ხარისხის გაზრდა, ამიტომაც გამოხატავდნენ კმაყოფილებას ამ ცვლილებების გამო და მეტადაც დაიწყეს კონტროლი. არასაკმარისი დროისა და სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ყველა მშობელი მაქსიმალურად ვერ ჩაერთო ამ პროცესში.

#### **ინტერვენციების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:**

თუკი მოსწავლეები ინტერვენციამდე არ ასრულებდნენ ხშირად დავალებებს და ამის მიზეზი დავალების მოცულობა, ინტერესის ნაკლებობა, სიზარმაცე და დავალების პირობის გაუგებრობა იყო, საგრძობლად შეიცვალა ეს ფაქტორები, მართებული ინტერვენციების დაგეგმვის გამო მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ გაუმჯობესდა.

მასწავლებელთა მიერ საშინაო დავალების შესრულებისას მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებამ, სხვადასხვა ტიპის დავალებების მიწოდებამ, საშინაო დავალების რეგულარულად შემოწმებამ, დავალების მოცულობის შემცირებამ, ყურადღების გამახვილებამ საშინაო დავალების პირობის გაგება-გააზრებაზე და ეფექტური უკუკავშირის მიწოდებამ მკვეთრი ცვლილებები შეიტანა სასწავლო პროცესში როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, ისე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.

#### **4.3. რეკომენდაციები და ნაკლოვანებები**

##### **რეკომენდაციები**

პრაქტიკული კვლევის განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ და შედეგებმა მიჩვენა, რომ საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

დავალების მოცულობის შემცირება სხვადასხვა ტიპის საშინაო დავალების მიცემა საინტერესო და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული დავალებების შერჩევა დავალების ხარისხის შემოწმება დავალების პირობის გაგება-გააზრება ეფექტური უკუკავშირის გაცემა მასწავლებლისა და მოსწავლის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მშობლებთან თანამშრომლობა კოლეგების უკუკავშირი აქედან გამომდინარე, შევიმუშავე რეკომენდაციები:

მაქსიმალურად შევამცირო დავალებების მოცულობა არ გადავტვირთოთ მოსწავლეები უინტერესო დავალებებით მოვარგოთ საშინაო დავალებები მოსწავლეთა საჭიროებების, რომ ხელი შეუწყოს ძველი ცოდნის განმტკიცებასა და ახლის შეძენას მოსწავლეებს შევურჩიოთ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს შესრულებული დავალება არ დავტოვოთ ყურადღების მიღმა, დავანახოთ მოსწავლეებს, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მატ მიერ შესრულებული დავალება გავხადოთ მკაფიო, ნათელი და გასაგები საშინაო დავალების პირობამოსწავლეთა ინტერესების გაზრდისა და მოტივაციის ასამაღლებლად გავზარდოთ ეფექტური უკუკავშირის გაცემა გავაგრძელოთ თანამშრომლობა მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან.

გავითვალისწინოთ შემუშავებული რეკომენდაციები აღნიშნული საკითხის მხრივ მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად.

## **ნაკლოვანება**

კვლევის შედეგების ანალიზისას და ინტერვენციების შეფასებისას გამოიკვეთა ნაკლოვანება-ცვლილებების განხორციელება მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ჩემი კვლევის ნაკლოვანება გავუზიარე კოლეგებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ეს საკითხები, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება განისაზღვროს მომდევნო კვლევის თემად .

## **5. დასკვნა**

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ეხებოდა საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებს და მათი აღმოფხვრის გზებს, შედეგიანი აღმოჩნდა, კვლევის შედეგად დავძლიეთ საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებიც დავადგინე მონაცემთა ანალიზის დროს და დავგეგმე ამ სირთულის დასაძლევად შესაბამისი ცვლილებები/ინტერვენციები მიმაჩნია, რომ განხორციელებულმა კვლევამ შედეგი გამოიღო უპირველესად იმ მხრივ, რომ მე და ჩემი კოლეგები გავხდით ინფორმირებულები იმ საკითხებზე, რაც საშინაო დავალებას უკავშირდება. ფაქტობრივად, შევძელი პრაქტიკულად განმეხორციელებინა დაგეგმილი ინტერვენციები, რამაც დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების

ხარისხის ამაღლებაზე, მოსწავლეთა მოტივაციასა და თვით მასწავლებელთა პროფესიულ მზაობაზე. თუკი მოსწავლეები ინტერვენციამდე არ ასრულებდნენ ხშირად დავალებებს და ამის მიზეზი დავალების მოცულობა, ინტერესის ნაკლებობა, სიზარმაცე და დავალების პირობის გაუგებრობა იყო, საგრძნობლად შეიცვალა ეს ფაქტორები, მართებული ინტერვენციების დაგეგმვის გამო მოსწავლეთა დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ გაუმჯობესდა. მოსწავლეთა გააქტიურება გამოიწვია მათზე მორგებულმა სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შეტანამ, საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმების გაცნობამ, მიხვდნენ, რომ რეგულარული მონიტორინგის მიზანი არ იყო მხოლოდ დავალების შესრულების შემოწმება, არამედ, მთავარი მიზანი იყო მათი საჭიროების გამოვლენა და დახმარება, ამიტომაც უკვე სხვა თვალთ შეხედეს საშინაო დავალების შესრულებას, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარის განვითარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გააუმჯობესა როგორც დავალების ხარისხი, ისე მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებელი, სასწავლო გარემო გახდა უფრო კომფორტული და მეგობრული, ჩემი პრაქტიკული კვლევა დამეხმარა გავსულიყავი ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მიზანზე, რომელიც მოიაზრებს საშინაო დავალების სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად ქცევას. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, პროფესიული ეთიკის კოდექსის მნიშვნელოვანი ნაწილია- კოლეგიალობა, რაც გულისხმობს მუდმივ მზადყოფნას თანამშრომლობისათვის, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს სკოლაში ნამდვილად არის თანამშრომლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. ყველა ეტაპზე მქონდა პროფესიული დიალოგები კოლეგებთან, ვიზიარებდი მათ საინტერესო რჩევებსა და მოსაზრებებს. მათი მხარდაჭერა კიდევ ერთი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ მივიღო ახალ-ახალი გამოწვევები და უფრო სრულყოფილი გავხადო ჩემი პროფესიული საქმიანობა.



## ბიბლიოგრაფია

2. „როგორ წარმართო პედაგოგიური კვლევები“

3. მაისი,2012.27 დეკემბერი,2015.სოფიკო ლობჯანიძე

<http://mastsavlebeli.ge/?tag=%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94&paged=4>

3. „პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა,წარმართვა და შეფასება“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგის მასალები.

4. ლია წულაძე, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“თბ.2008

[http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi\\_kvlevis\\_meTodebis\\_saxelomzgv.pdf](http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf)

5. რობერტ ჯ.მარზანო, დებრა ჯ.ფიქერინგი, ჯენი ი.ფოლოქი-„ეფექტური სწავლება სკოლაში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.2009

6. მაია ფიჩხაძე--საშინაო დავალება და პრაქტიკა-სასწავლო პროცესის ორი უმნიშვნელოვანესი მეთოდი“, ჟურნალი „მასწავლებელი“, 15 მარტი,2013.

<http://mastsavlebeli.ge/?p=2409>

7. ნანა ლომიძე, „საშინაო დავალება დასჯა არ არის“,8 მარტი,2015.

<https://edu.aris.ge/news/sashinao-davaleba-dasdja-ar-aris-rekomendaciebi-mshoblebsa-damaswavleblebs.html>

## დანართები

### ანკეტა მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით!

პრაქტიკულ კვლევასთან დაკავშირებული საკითხების დასადგენად გთხოვთ შეავსოთ კითხვარი

1.რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს საშინაო დავალებას?

1.იშვიათად, 2. ხშირად, 3.ყოველთვის

2.რა ს მიიჩნევთ მოსწავლეთა მიერ დავალების შეუსრულებლობის მიზეზად?

1.სიზარმაცე 2. ნაკლები ინტერესი 3. დიდი მოცულობა

3.აძლევთ თუ არა მოსწავლეებს საშინაო დავალების შესასრულებლად ინსტრუქციას?

1.არასოდეს 2. ყოველთვის 3. ზოგჯერ

4. აწარმოებთ თუ არა საშინაო დავალების მონიტორინგს?

1.არასოდეს 2.ყოველთვის 3.ზოგჯერ

5. ჩამოაყალიბეთ, როგორ გესახებათ საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები?

---

---

---

---

## ანკეტა მშობლებისათვის

მოგესალმებით!

პრაქტიკულ კვლევასთან დაკავშირებული საკითხების დასადგენად გთხოვთ შეავსოთ კითხვარიასრულებენ თუ არა თქვენი შვილები დამოუკიდებლად საშინაო დავალებას?

1.ყოველთვის. 2. იშვიათად 3.არა

2.რა იწვევს თქვენი შვილის გულგრილ დამოკიდებულებას საშინაო დავალების მიმართ?

1.სიზარმაცე 2. დავალების მოცულობა 3.არასაკმარისი დრო

3.მიგაჩნიათ თუ არა მართებულად მშობლის ჩარევა საშინაო დავალების შესრულებისას?

1.მართებულია. 2. სჯობს თავად გააკეთოს 3. ხანდახან უნდა ჩაერიოს

4.ჩამოაყალიბეთ, როგორ გესახებათ საშინაო დავალებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები?

---

---

---

ანკეტა მოსწავლეებისათვის

ასრულებთ თუ არა დამოუკიდებლად საშინაო დავალებას?

1. ყოველთვის 2. არასდროს 3. ზოგჯერ

2. რატომ არ ასრულებ საშინაო დავალებას?

სიზარმაცის გამო, 2. არ მაინტერესებს 3. დიდი მოცულობისაა

3. განმარტავს თუ არა მასწავლებელი საშინაო დავალების მიზანს გასაგებად?

1. გვიხნის გასაგებად 2. გაუგებარია. 3. საერთოდ არ განმარტავს

4. რა სახის დავალება მოგწონს ყველაზე მეტად?

1. წერიტი დავალება 2. ტესტები 3. ზეპირი

5. გიმოწმებთ თუ არა მასწავლებელი საშინაო დავალებას?

1. ზოგჯერ 2. იშვიათად 3. ხშირად

6. რა რჩევებს მისცემდით მასწავლებლებს საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად?

-----  
-----  
-----  
-----  
-----

## დანართები

### მოტივაციის ასამაღლებელი სავარჯიშოები

#### N1

Read the text below. Answer the question by choosing the best answer:

#### The Moon

The moon is the satellite of the earth. It is about the quarter size of the earth. It goes around the earth approximately in one month .it is about 384.000 kilometers away from the Earth. There is no air or atmosphere around it, .so there is no life on the Moon.It has about 13 and half days of day light and 13 and a half nights of darkness. Temperature on the moon is about 120 degrees C during the day and -150 degrees during the night. Because there is no air or atmosphere, there is also no sound as the sound waves travel through the air.So, The Moon is very silent.

1 Why is there no life on the Moon?

- A) Because it is so far away.
- B) Because it has only 13 days of daylight.
- C) Because there is no atmosphere or air.
- D) Because there is no sound.

2 Which of these is incorrect?

- A) The Moon turns around the Earth.
- B) The Moon is hotter than the Earth in daytime.
- C) The moon is bigger than the earth.
- D) It takes one month for the Moon to go around the Earth.

3 Which of the following options can't complete the sentence."Because there is no air or atmosphere on the moon,----"?

- A) There is no sound
- B) There is no sound
- C) We can't cook there
- D) It is very silent there

#### N2

Read and complete the text

Rodger Federer was born on 8<sup>th</sup> august,1981 in Basel Switzerland, and is now an international tennis star. He is one of the best tennis players in the world.

Roger (1)-----dark brown hair and brown eyes and is 186cm tall. He lives in Oberwil in Switzerland. He has one sister.(2)-----name is Diana and she lives in Basel, a big city in Switzerland. Roger is an excellent tennis player and he can (3)-----three languages: French German and English. He even talks to journalists in all three languages.

What (4)-----he do in his free time? He likes playing cards ,cricket, table tennis and other sports. He loves movies, music and his Playstation too. He also(5)-----being with his friends, sitting on the beach and eating. He really likes Italian (6)----- like mozzarella di bufalla,gnocchi and Gorgonzola cheese. His favorite ice cream is strawberry. And his favorite people are friendly and helpful-people who smile a lot!

Of course,he doesn't have lots of time to enjoy all his hobbies. He practices tennis and(7) to the gym every day, and often (8)-----in tennis competitions around the world. He also spends time helping people who need help.(9)-----2003,he started an organization, the Roger Federer Foundation, to make money for people like the tsunami victims(10)----- says, "it's nice to be important, but it's important to be nice..

Complete the information about Roger:

1 Birthday:

-----

2. Town:

-----

3. Number of brothers/sisters:

-----

4. Languages:

-----

5 Two of his hobbies:

---

6 One of his favourite foods

-----

7. What he does every day:

---

---

8 Name of his organization:

---

Answer the question about roger?

1 Why is he very busy?

---

2 How does his organization help people?

-----

**N3**

Read the sentences and choose the best answer for each question:

1 Where-----from? I'm from Russia.

A. you are B. you C. are you

2 I have two-----a boy and a girl

A. sons B. daughters C. children

3. I like apples, but I -----bananas

A . don't like B. like C. do like

4 My sister-----tennis very well

A. plays B. play C. playing

5 The-----is quite expensive but the food there is excellent

A .film B. restaurant C. book

6 Greg is-----a lot of time at Bob's house these days!

A . taking B. spending C. having D. doing

7 If you-----me, what would you do?

A. was B. would be C. were D. have been

8 Can you give me a-----with my bag?

A leg B back C hand D head

9 I wish I----- more money!

A. have B. had C .would have D. was having

## N4

Read about the climate in Madagascar then choose True or False

Madagascar has two seasons, a warm, wet season from November to April and a cooler dry season between May and October. However, different parts of the country have different weather.

The east coast is hotter and wetter, with up to 4000 mm of rainfall per year. In the rainy season, there are strong winds and these can cause a lot of damage. Avoid visiting Easter Madagascar between January and March because the weather can make road travel very difficult. The dry season is cooler and more pleasant.

The high, central part of the country is much drier and cooler. About 1,200mm of rain falls in the rainy season, with some thunderstorms, but the summer is usually sunny and dry, but it can be cold, especially in the mornings, with freezing showers, and it may show in mountain area above 2.400 m, and even stay there for several days.

The west coast is the driest part of the island. Here the winter months are pleasant with little rain, cooler temperature and blue skies. The summer can be extremely hot, especially in the southwest. This part of the country is semi- desert, and only gets around 300mm of rain per year.

1 . Madagascar has four season: Spring, summer, autumn and winter.

True

False

2 There is more rain in January than in June.

True

False

3 The wet season is colder then the dry season

True

False

4 It hardly ever rains in central Madagascar.

True

False



5 The wettest part of the island is the east.

True

False

6 January- March is a good time to visit eastern Madagascar

True

False

7.The centre of Madagascar is the coldest part.

True

False

8. nSnow sometimes falls in Madagascar.

True

False

დანართი

N5

საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა

დაბალი 1-2-3 ქ	საშუალო 4-5-6 ქ	კარგი 7-8ქ	ძალიანკარგი 9-10 ქ
შესრულებულ ია მხოლოდ დავალებების1 0%.  მოსწავლე ვერ ავლენს ნასწავლი მასალის ცოდნას. დაშვებული შეცდომების რაოდენობა ძალიან ბევრია.	შესრულებულია მხოლოდ დავალებების 50 %.  მოსწავლე ვერ ავლენს ნასწავლი მასალის ცოდნას. ბევრია დაშვებული შეცდომების რაოდენობა.	ყველა დავალება შესრულებულ- ია . მოსწავლე ავლენს ნასწავლი მასალის ცოდნას. დაშვებული შეცდომების რაოდენობა  5-10	ყველა დავალება შესრულებულია.ს რულყოფილად ავლენს ნასწავლი მასალის ცოდნას. დაშვებული შეცდომების რაოდენობა 1- 5

კვლევის წარდგენა და კოლეგების უკუკავშირი

ჩემ მიერ 2018-2019 სასწავლო წელს განხორციელებული კვლევა-„საშინაო  
დავალების

შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები და მისი გადაჭრის გზები  
ინგლისურ ენაში“ 2019 წლის ივნისს წარვადგინე კოლეგების წინაშე „კვლევა

მოიწონეს კოლეგებმა, შეფასების ჯგუფის წევრებმა, დამისვეს შეკითხვები კვლევის ირგვლივ. შეკითხვები დისკუსიაში გადაიზარდა და შესაბამისად კვლევა იყო მიზანმიმართული, საქმიანი, მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მოგახსენებთ ჩემი კოლეგების აზრს:

1. კვლევა საინტერესო პრობლემის აქტუალობით, დაცულია კვლევის ფაზები და თანმიმდევრობა, ინტერვენციებიც მიზნობრივად და დაგეგმილი და ზუსტად პასუხობს საკვლევი თემის მიზანს.

2. ჩანს, რომ კვლევის ავტორი კარგად იცნობს კვლევის მეთოდებს, რადგან ზედმიწევნით და სტრუქტურის დაცვით აქვს ჩამოყალიბებული თითოეული კვლევის მეთოდი, განმარტებული აქვს შესაბამისი დასკვნებით, რას ელოდება და დაგეგმილი ინტერვენციებიდან

3. კვლევა პასუხობს დასახულ მიზანს და შედეგიც თვალნათლივაა გამომხატული. საინტერესო მეთოდები აქვს მოხმობილი კვლევის განსახორციელებლად, ანკეტირების კითხვებიც საკვლევი საკითხის შესაბამისადაა ჩამოყალიბებული

ჩემთვის მნიშვნელოვანია კოლეგების აზრი, გავითვალისწინებ მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რათა უკეთ შევძლო მომდევნო კვლევის წარმოება და ავამაღლო ჩენი პროფესიული მზაობა.

## რეფლექსია

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ნიმუშს და შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

პირველი ეტაპი მოიცავდა პრობლემის გამოვლენას საშინაო დავალების სირთულეებთან დაკავშირებით ინგლისური ენის სწავლებისას, ეს საკითხი წლებია მწვავედ დგას მასწავლებელთა წინაშე, იკვთება განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა, ალტერნატიული გადაჭრის გზა არ ჩანს, ამ შემთხვევაში, მე შევეცადე, ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, გამომეკვლია ეს საკითხი და მიმეგნო შესაბამისი დასკვნებისათვის, დასკვნების გამოტანამდე, კი, შევარჩიე სამიზნე ჯგუფი, საბაზო საფეხურის მე-8 კლასი, რომელიც ამავდროულად ჩემი სადამრიგებლოცაა, დავგეგმე შესაბამისი ინტერვენციები, ინტერვენციების დაგეგმვაში ხელი შემიწყო კვლევის მეთოდების მართებულმა გამოყენებამ. კვლევისათვის შევარჩიე და მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე რაოდენობრივი-(გამოკითხვა, ანკეტირება, მონაცემთა ანალიზი) და თვისებრივი (ანკეტირება და წერილობითი კომენტარი) მეთოდები. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა ძირითადი მიგნებები:

მოსწავლეებს არ ყოფნით დრო დავალებების შესასრულებლად დავალების მოცულობა დიდია დავალების შეუსრულებლობის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში სიზარმაცაა. ნაკლებად თანამშრომლობენ კოლეგები ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ნაკლებად უთმობენ დროს დავალების პირობის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბებას. მასწავლებლები არ გასცემენ ეფექტურ უკუკავშირს არ არის განსაზღვრული საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები ნაკლებად, ან იშვიათად ხდება საშინაო დავალების მონიტორინგი. მშობლები არ არიან მაქსიმალურად ჩართული შვილების სასწავლო პროცესში. დადგა საკითხი-როგორ გადავჭრა ეს პრობლემები? დავისახე შესაძლო ინტერვენციები, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე თითოეული მათგანის განხორციელება, ვითვალისწინებდი კოლეგების რჩევებს, მოსწავლეთა ინტერესებს, მშობლების აზრს, ეფექტურ მეთოდებსა და აქტივობებს პრობლემის აღმოსაფხვრელად, მოკლედ, განვახორციელე რიგი ცვლილებები, რის შედეგადაც მაქსიმალურად შევამცირე დავალებების მოცულობა, არ გადავტვირთე მოსწავლეები უინტერესო დავალებებით, მოვარგე საშინაო დავალებები მოსწავლეთა საჭიროებისამებრ, რომ ხელი შეეწყო ძველი ცოდნის განმტკიცებისა და ახლის ათვისებაში, რეგულარულად ვაწარმოე შესრულებული დავალების მონიტორინგი, მკაფიოდ და გასაგებად ვცდილობდი დავალების შინაარსის გაცნობას, ხშირად ვაძლევდი მოსწავლეებს ეფექტურ უკუკავშირს, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ინტერვენციის განხორციელებაში გამიჭირდა მშობლების ჩართვა, მომდევნო სასწავლო წლისათვის აუცილებლად დავგეგმავ აქტივობებს ამ მხრივ.

კვლევისას დავიცავი ეთიკის ნორმები, გავითვალისწინე კვლევის თანმიმდევრული ფაზები და ნაშრომი წარმოვადგინე ამ სტრუქტურის მიხედვით. საბოლოოდ, მინდა აღნიშნო, რომ განხორციელებული კვლევა შედეგიანი და ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, ამალდა მათი მოტივაცია, ინტერესი საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, კვლევას თვალს ადევნებდნენ ჩემი კოლეგები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს აღნიშნული კვლევა, ეს კი გახლავთ მოტივაცია იმისა, რომ არ შევაჩერო ჩემი პროფესიული განვითარება და მაქსიმალურად შევძლო გავხადო სწავლა-სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული.

ნატო საბაშვილი

ბათუმი, 2019

კვლევის ავტორის ელექტრონული ფოსტა

[Nato.sabashvili@mail.ru](mailto:Nato.sabashvili@mail.ru)